შპს „პონტიკა“-ს A - ტიპის ინსპექტირების ორგანო
ს/ნ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. №183/185
ტელ.: +995599109840
Email: LLC.pontica@gmail.com

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC-IB-0306

ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში (ს/კ: 01.72.14.035.665) მდებარე მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში
№ TC-6623/23.09.2025

მომსახურეობის სფერო: *ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება*

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 08.09.2025

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 23.09.2025

დამკვეთი: შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“ ს/კ 404504158

საფუძველი: ხელშეკრულება: №1441/09-25; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლის კვლიფიკაცია:

რამაზ აფხაძე უმაღლესი განათლებით ინჟინერ მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 47 წლის სტაჟით.

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში (ს/კ: 01.72.14.035.665) მდებარე მშენბლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

წარმოდგენილი მასალები:

- ✓ ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: # 01.72.14.035.665) სავაჭრო ცენტრის პროექტის საფუძველზე" გაცემული „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება # 6974256 (გაცემის თარიღი 10/04/2024), მშენებლობის ნებართვისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის თაობაზე;
- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „მუნიციპალური ინსპექცია"-ს 2025 წლის 19 მარტის # 17-01250781196 წერილი, 2024 წლის 10 აპრილის # 6974256 ბრძანებით განსაზღვრული III-IV-V_VI ეტაპებით შესრულებული სამუშაოების დამატებით შესწავლის თაობაზე, სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- ✓ მშენებლობის პერიოდში ნაწარმოები ფოტომასალა;
- ✓ ფარული სამუშაოების აქტები;
- ✓ შპს ფრესკო ვესტ ჯორჯიასა და შპს გეოკომფორტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება A/FWG-24-131/02, გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემების მონტაჟის თაობაზე;
- ✓ შპს ფრესკო ვესტ ჯორჯიასა და შპს Vertical Technology შორის გაფორმებული ლიფტების შეძენა-მონტაჟის ხელშეკრულება N 051 A/FWG-24-131/02;
- ✓ მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულება N 061824 A/FWG-24-128/09 ხანძარქრობის სისტემების მონტაჟის თაობაზე;
- ✓ დენდროლოგიური გეგმა. ქ. თბილისი, მირიან მეფის ქ. 28 (ს/კ 01.72.14.035.665);
- ✓ შპს „თეოჯსტუდიო"-ს საპროექტო ჯგუფის არქიტექტორების, ე. ცქვიტინიძისა და თ. ჯანაშვილის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. სოფელი დიღომი. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი"-ს პროექტის არქიტექტურული ნახაზები (გეგმები, ჭრილები და ფასადები) PDF-ფორმატებში;
- ✓ „სავაჭრო ცენტრი. ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. დამკვეთი შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია". კონსტრუქციული ნაწილი". კონსტრუქტორი ზ. გეგეჭკორი. 2024 წ.;
- ✓ „ქ. თბილისში, „ფრესკო"-ს სავაჭრო ცენტრის კონსტრუქციული გაანგარიშება. განმარტებითი ბარათი" (რაპორტის სახით). შემსრულებელი ზ. გეგეჭკორი. 2024 წ.;
- ✓ შპს „თეოჯსტუდიო"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობა". კონსტრუქციურული ნახაზები PDF-

ფორმატებში. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე, შემსრულებელი გ. შალიტაური. 2024 წ.;

- ✓ „ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრის შენობის ანგარიში სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე". თბილისი 2024 წ. ანგარიშის რაპორტი, შემსრულებელი გ. შალიტაური.;
- ✓ „ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28 (ს.კ. # 01.72.14.035.665) სამსართულიანი სავაჭრო ცენტრის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები". სამუშაოები შესრულებულია შპს „ვანდმაუერ"-ის საძიებო განყოფილების მიერ. ინჟინერ-გეოლოგი დ. ჯანელიძე. 2024;
- ✓ მშენებლობის პროცესში ნაწარმოები ბეტონის საგამოცდო ოქმები.

დამატებით წარმოდგენილი მასალები:

- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური"-ს 2025 წლის 03 სექტემბრის # 7613228 გადაწყვეტილება;
- ✓ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია"-ს 2025 წლის 14 აგვისტოს (# 4-11დ1426-25) # 005573 დადგენილება.

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – „ სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01 – 09);
- ✓ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია", დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №71 (2014 წლის 15 იანვარი) საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2017 წლის 6 თებერვლის, საქართველოს მთავრობის დადგენილება N63-ში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება N41 „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები;
- ✓ СНиП II-22-81* „Каменные и Армокаменные Конструкций". (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები);
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (პნ 02.01-08);
- ✓ СП 13-102-2003 „ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები";
- ✓ PNT/IB/IP-7.1-24-06-A22 ინსპექტირების პროცედურა.

გამოკვლევა:

შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“-ს (ID ნომერი: 404504158) მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური“-ს 2025 წლის 03 სექტემბრის # 7613228 გადაწყვეტილების. პასუხად შპს „პონტიკა“-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროექტის მთავარ კონსტრუქტორ ლ. ზამბახიძესთან ერთად ადგილზე განმეორებით შესწავლილ იქნა # 01.72.14.035.665 საკადასტრო კოდის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი # 882024630231 – 30/04/2024) მქონე ტერიტორიაზე, შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“-ს 2025 წლის 14 აგვისტოს (# 4-11დ1426-25) # 005573 დადგენილებაში, „ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28, # 01.72.14.035.665 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“-ს (ს/ნ: ნომერი: 404504158; მის. ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა # 42) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევებზე“, დოკუმენტში დაფიქსირებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, ჩამოთვლილი ხარვეზების გათვალისწინებით, კერძოდ: „დარღვეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის # 6974256 (03.04.2024 წ. # 6965992) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-5 ეტაპით „არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; სახურავისა და გადახურვის მოწყობა“, გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

1. „შეცვლილია, მონაცვლებულია ან ზოგან დამატებით მოწყობილია ტიხრები და კარები“;

2. „დამატებით მოწყობილია ტექნიკური დანადგარები“;

3. „-3,20 ნიშნული: ღერძი „6“-სთან მდებარე კიბესთან დამატებით მოწყობილია კედლები და კარი“;

4. „-3,90 ნიშნული: „კ“ ღერძისა (უნდა იყოს „ა“ ღერძი" - ექსპერტი) და „6“ და „7“ ღერძების კვეთაზე დამატებით მოწყობილია რკინის კონსტრუქციები“;

5. „+5,30 ნიშნული: სართულზე მონაცვლებულია კარები. ღერძი „4-5“ და „გ-ბ“ მონაკვეთში კვეთაზე მდებარე ფართი გაზრდილია“.

ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“-ს 2025 წლის 14 აგვისტოს (# 4-11დ14212-25) # 005574 დადგენილებაში, „ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28, # 01.72.14.035.665 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“-ს (ს/ნ: ნომერი: 404504158; მის. ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი,

ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა # 42) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევებზე“, დოკუმენტში დაფიქსირებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე, ჩამოთვლილი ხარვეზების გათვალისწინებით, კერძოდ: „დარღვეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 10 აპრილის # 6974256 (03.04.2024 წ. # 6965992) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მე-6 ეტაპით „ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; სახურავისა და გადახურვის მოწყობა, სამღებრო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები; მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა“, გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ:

1. „სახანძრო სისტემა: სახანძრო კარადები მონაცვლებულია“;

2. „მცირედით შეცვლილია ლიფტის გაბარიტი და მასში შესასვლელი კარის მდებარეობა“;

3. „8-1“ ფასადი: ღერძი „8“-სთან მდებარე კარის თავზე დამატებით მოწყობილია ცხაური“;

4. „ე-ა“ ფასადი: შეცვლილია ფანჯრის ნახატი“.

ყველა გამოვლენილი ხარვეზი, გარდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“-ს 2025 წლის 14 აგვისტოს (# 4-11დ1426-25) # 005573 დადგენილებაში დაფიქსირებული მე-3 და მე-4 პუნქტებისა, მიეკუთვნება არქიტექტურულ და საინჟინრო ნაწილებს და კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე არ მოქმედებს. ზემოაღნიშნულ მე-3 პუნქტში დაფიქსირებული კედელი თვითმზიდია, მოწყობილია უკანა ეზოს დონეზე და მზიდ კონსტრუქციებთან არ არის ჩართული კარკასის მუშაობაში, ხოლო მე-4 პუნქტში დაფიქსირებული „რკინის კონსტრუქციები“ მოწყობილია ჩვენი მოთხოვნით, რადგანაც „Lira-SAPR 2021R3“ პროგრამული კომპლექსის გამოყენებით ჩატარებულმა ანგარიშის შედეგებმა გვიჩვენა, რომ, 0,000 ნიშნულზე (დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული ნახაზის მიხედვით) „ა“ ღერძზე, „5“ და „8“ ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭი (იხილე დამკვეთის მიერ მოწოდებული - „სავაჭრო ცენტრი. ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. დამკვეთი შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“. კონსტრუქციული ნაწილი“-ის კ-36 ფურცელზე დამუშავებული „რიგელი-2“) საჭიროებდა გაძლიერებას, რომლის დეფორმაციის (ჩაღუნვის) სიდიდე აღემატებოდა დასაშვებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა „ა“ ღერძზე, „5“ და „8“ ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭის, „რიგელი-2“-ის გაძლიერება ლითონის განმბჯენებით [„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია“-ს 2025 წლის 14 აგვისტოს (# 4-11დ1426-25) # 005573 დადგენილებაში დაფიქსირებული როგორც „რკინის კონსტრუქციები“], რომელთა მოწყობის შემდეგ შენობის სივრცითი მოდელის ხელახალი ანგარიშის შედეგად 0,000 ნიშნულზე, „ა“ ღერძზე, „5“ და „8“ ღერძებს შორის არსებული

გადახურვის ფილის კოჭის დეფორმაციის (ჩაღუნვის) სიდიდე შემცირდა და ნაცვლად 37,6 მმ-ისა გახდა 18,7 მმ.

ზემოაღნიშნული კოჭის გაძლიერების სამუშაოების ხარისხის შემოწმების მიზნით, შპს „პონტიკა“-ს დაკვეთით, აკადემიური დოქტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ირაკლი თაყაძის მიერ შესრულებულ იქნა: „ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში, სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლითონ-კონსტრუქციების შენადუღი ნაკერების შემოწმების ტექნიკური ანგარიში NDT-16-02-25” (შემოწმების შედეგები იხილეთ ზემოხსენებულ ტექნიკურ ანგარიშში).

ჩვენს მიერ, 2025 წლის 4 მარტს მომზადებულ, “ქ. თბილისში, მირიან მეფის ქ. #28-ში (ს/კ: 01.72.14.035.665) მდებარე მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში # TC-5745/04.03.2025” დასკვნაზე მუშაობისას ვხელმძღვანელობდით დამკვეთის მიერ მოწოდებული: შპს “თეიჯსტუდიო”-ს საპროექტო ჯგუფის არქიტექტორების, ე. ცქვიტინიძისა და თ. ჯანაშვილის მიერ დამუშავებული “ქ. თბილისი. სოფელი დიღომი. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი”-ს პროექტის არქიტექტურული პროექტითა (04.03.2024) და შპს “თეიჯსტუდიო”-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული “ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობა” (2025 წ), კონსტრუქციურული ნახაზებით (პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე, შემსრულებელი გ. შალიტაური). აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ არქიტექტურულ პროექტში, ჩვენი რეკომენდაციის შემდეგ “ა” ღერძზე, “5” და “8” ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭის, “რიგელი-2”-ის გაძლიერების ელემენტები ლითონის განმბჯენებით არ იყო დაფიქსირებული.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში, შპს "ფრესკო ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი # 01.72.14.035.665] მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. „Lira-SAPR 2021R3" პროგრამული კომპლექსის (შესყიდვების სალიცენზიო ნომერი #1/8656) გამოყენებით შესრულებული ანგარიშით მიღებული ძალვებით შერჩეული (და რეკომენდაციების შემდეგ გაძლიერებული) კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირება იძლევა შენობისა და მისი კონსტრუქციული ელემენტების უსაფრთხო ექსპლუატაციის გარანტიას.

ანგარიშის შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობის სეისმომედეგობა და მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ირაკლი მორჩილაძე/

Pontica LLC * 402073448 *

№ TC-6623/23.09.2025

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A - ტიპის ინსპექტირების ორგანო

აკრედიტებულია სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის

მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თანდართულ სფეროში

მის.: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185

იხ. სფერო და სტატუსი

გაცემულია 17 იანვარი 2023 წელი

ძალაშია 17 იანვარი 2027 წელი

გენერალური დირექტორი

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0306
განკარგულება №06/270
თარიღი: 27.12.2022 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

სფეროს აქტუალიზაცია
განკარგულება №01/88
თარიღი: 12.09.2023 წ.

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა“

მისამართი: ქ. თბილისი,შ. ნუცუბიძის №183/185;

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 7. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.
4.	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების; - -შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 8. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 9. ისო/იეკ 11801-2017 10. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.

5.	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე) სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის პროექტთან შესაბამისობის დადგენა.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილება N 354 „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 10. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“; 11. PNT/IB/IP-7.1-22-04-A23 ინსპექტირების პროცედურა;
6.	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა

7.	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A49 ინსპექტირების პროცედურა.
8.	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A44 ინსპექტირების პროცედურა
9.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები-(СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ"

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხახობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
10.	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
11.	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A47 ინსპექტირების პროცედურა
12.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A53 ინსპექტირების პროცედურა

შპს „პონტიკა“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო
ს/კ 402073448
მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. №183/185
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmailcom

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC-IB-0306

ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში (ს/კ: 01.72.14.035.665) მდებარე მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში
№ TC-5745/04.03.2025

მომსახურეობის სფერო: *ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება*

ინსპექტირების დაწყების თარიღი: *10.01.2025*

ინსპექტირების დასრულების თარიღი: *04.03.2025*

დამკვეთი: *შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“ ს/კ 404504158*

საფუძველი: *ხელშეკრულება: №1256/01-25; განაცხადი*

შემსრულებელი ექსპერტები და შემსრულებლის კვლიფიკაცია:

რამაზ აფხაძე უმაღლესი განათლებით ინჟინერ მშენებელი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობის 47 წლის სტაჟით.

სპეციალისტების წინაშე დასმული ამოცანა:

ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში (ს/კ: 01.72.14.035.665) მდებარე მშენბლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

წარმოდგენილი მასალები:

_ შპს „თეიჯსტუდიო“-ს საპროექტო ჯგუფის არქიტექტორების, ე. ცქვიტინიძისა და თ. ჯანაშვილის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. სოფელი დიღომი. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი“-ს პროექტის არქიტექტურული ნახაზები (გეგმები, ჭრილები და ფასადები) PDF-ფორმატებში.

_ „სავაჭრო ცენტრი. ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. დამკვეთი შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“. კონსტრუქციული ნაწილი“. კონსტრუქტორი ზ. გეგეჭკორი. 2024 წ.

_ „ქ. თბილისში, „ფრესკო“-ს სავაჭრო ცენტრის კონსტრუქციული გაანგარიშება. განმარტებითი ბარათი“ (რაპორტის სახით). შემსრულებელი ზ. გეგეჭკორი. 2024 წ.

_ შპს „თეიჯსტუდიო“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობა“. კონსტრუქციურული ნახაზები PDF-ფორმატებში. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე, შემსრულებელი გ. შალიტაური. 2024 წ.

_ „ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრის შენობის ანგარიში სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე“. თბილისი 2024 წ. ანგარიშის რაპორტი, შემსრულებელი გ. შალიტაური.

_ „ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28 (ს.კ. # 01.72.14.035.665) სამსართულიანი სავაჭრო ცენტრის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“. სამუშაოები შესრულებულია შპს „ვანდმაუერ“-ის საძიებო განყოფილების მიერ. ინჟინერ-გეოლოგი დ. ჯანელიძე. 2024

_ მშენებლობის პროცესში ნაწარმოები ბეტონის საგამოცდო ოქმები;

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები – „ სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01 – 09);
- ✓ „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია“, დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს მიერ, 1991 წლის 17 ივლისს. თბილისი 1992წ, 140 გვ.;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255;
- ✓ საქართველოს მთავრობის დადგენილება №71 (2014 წლის 15 იანვარი) საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2017 წლის 6 თებერვლის, საქართველოს მთავრობის დადგენილება N63-ში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება N41 „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები;
- ✓ СНиП II-22-81* „Каменные и Армокаменные Конструкций“. (სნ და წ II-22-81* ქვის და არმოქვის კონსტრუქციები);
- ✓ სამშენებლო ნორმები და წესები - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08).
- ✓ СП 13-102-2003 „ნაგებობების და შენობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები”;
- ✓ PNT/IB/IP-7.1-24-06-A22 ინსპექტირების პროცედურა.



გამოკვლევა:

დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში, შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“-ს (ID ნომერი: 404504158) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი # 01.72.14.035.665. განცხადების რეგისტრაციის ნომერი # 882024630231 – 30/04/2024] მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის შეფასებისა და შენობის შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებულ უბანში (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით: ზონა – თბილისი; სექტორი -72), რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #71-ე დადგენილების: ტექნიკური რეგლამენტის _ „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3)-ის სეისმური საშიშროების რუქის დანართის MSK-64 სკალის მიხედვით მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0,17. ხოლო ტექნიკური რეგლამენტის _ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5)-ის (პნ 01.05-08) მიხედვით დიდი დიღმის დასახლებულ უბნისთვის საანგარიშო პარამეტრებად დადგენილია შემდეგი კლიმატური მონაცემები: თოვლის საფარის წონა 0,50 კპა (50 კგმ/კვ.მ); ქარის წნევის ნორმატიულ მნიშვნელობა 0,85 კპა (85 კგმ/კვ.მ) 15 წელიწადში ერთხელ.

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის მშენებლობა დაწყებულია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის 04 მარტის #6965992 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე. მშენებლობის მიმდინარეობის დროს პროექტმა განიცადა ცვლილება და საბოლოოდ მშენებლობა ნაწარმოებია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, არქიტექტორების ე. ცქვიტინიძისა და თ. ჯანაშვილის მიერ დამუშავებული არქიტექტურული და კონსტრუქტორ ზ. გეგეჭკორის მიერ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტების მიხედვით. შენობის კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომებისა და მათი ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის გაადვილების მიზნით დამკვეთმა მოგვაწოდა შემდეგი დოკუმენტაცია (მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

_ შპს „თეიჯსტუდიო“-ს საპროექტო ჯგუფის არქიტექტორების, ე. ცქვიტინიძისა და თ. ჯანაშვილის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. სოფელი დიღომი. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი“-ს პროექტის არქიტექტურული ნახაზები (გეგმები, ჭრილები და ფასადები) PDF-ფორმატებში.

_ „სავაჭრო ცენტრი. ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. დამკვეთი შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“. კონსტრუქციული ნაწილი“. კონსტრუქტორი ზ. გეგეჭკორი. 2024 წ.

_ „ქ. თბილისში, „ფრესკო“-ს სავაჭრო ცენტრის კონსტრუქციული გაანგარიშება. განმარტებითი ბარათი“ (რაპორტის სახით). შემსრულებელი ზ. გეგეჭკორი. 2024 წ.

_ შპს „თეიჯსტუდიო“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობა“. კონსტრუქციურული ნახაზები PDF-ფორმატებში. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე, შემსრულებელი გ. შალიტაური. 2024 წ.

_ „ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრის შენობის ანგარიში სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე“. თბილისი 2024 წ. ანგარიშის რაპორტი, შემსრულებელი გ. შალიტაური.

_ „ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28 (ს.კ. # 01.72.14.035.665) სამსართულიანი სავაჭრო ცენტრის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“. სამუშაოები შესრულებულია შპს „ვანდმაუერ“-ის საძიებო განყოფილების მიერ. ინჟინერ-გეოლოგი დ. ჯანელიძე. 2024 წ.

_ მშენებლობის პროცესში ნაწარმოები ბეტონის საგამოცდო ოქმები;

სხვა დოკუმენტაცია დამკვეთისგან არ მიგვიღია.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობს ორი ფენა (აქედან ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი): რელიეფის ზედაპირიდან პირველი ფენის სახით გავრცელებულია ნაყარი გრუნტი (ფენა 1), პირობითი საანგარიშო წინაღობით Ro =1,70 კგძ/სმ², რომლის ქვეშ გავრცელებულლია საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი, ძნელადპლასტიკური, მოყავისფრო თიხნარი (ფენა 2), პირობითი საანგარიშო წინაღობით Ro=2,75÷3,10 კგძ/სმ². გრუნტის წყალი გამოვლინდა რელიეფის ზედაპირიდან 2,50 მეტრიდან 3,35 მეტრამდე დიაპაზონში. გრუნტის ლაბორატორიული კვლევა ჩატარებულია სსიპ „გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში, ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის საგამოცდო ლაბორატორია“-ში გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობა გეგმაში მარტივი, სწორკუთხა გეომეტრიული ფორმისაა, რომლის მაქსიმალური გაბარიტული ზომები პირველი, მიწისპირა სართულის დონეზე არის: 48,35X25,80 მ (ღერძებში). ის განთავსებულია მცირედქანობიან რელიეფზე. შენობა სამსართულიანია (ერთი, ავტოპარკინგისთვის განკუთვნილი მიწისქვეშა და ორი მიწისზედა კომერციული სართულებით). სარდაფის სართულის სიმაღლე 3,20 მ-ია, პირველი სართულის სიმაღლე 5,15 მ-ია, ხოლო მესამე სართული კი ქანობიანი სახურავის გამო ნაირსიმაღლიანია და შიგა სივრცის სიმაღლე იატაკის ზედაპირიდან სახურავის ფენილების ქვედა დონემდე) მერყეობს 4,89 მ-დან 2,55 მ-მდე. პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთი სამგზავრო, ერთი სატვირთო ლიფტებითა და ორი მონოლითური რკინაბეტონის ორმარშიანი შიგა კიბეებით. შენობის სახურავი ერთქანობიანია. ბურულად გამოყენებულია ლითონის სამშრიანი სახურავის ფენილები პოლიურათანის დამათბუნებელი შრით (ე.წ. „სენდვიჩპანელები“).

მშენებლობის დაწყებიდან დღემდე, მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე, შექმნილი ვითარების გამო შეთანხმებულმა პროექტმა განიცადა კონსტრუქციული ცვლილებები, რაც ასახულია დამკვეთის მიერ წარმოდგენილ, შპს „თეიჯსტუდიო“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებულ (პროექტის მთავარი კონსტრუქტორ ლ. ზამბახიძე, შემსრულებელი გ. შალიტაური) „ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობა“, კონსტრუქციურულ ნახაზებში.

ამჟამად შენობაზე დასრულებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, შენობაზე დასრულებულია მოპირკეთების სამუსაოებიც და ის ფუნქციონირებს დანიშნულებისამებრ, რის გამოც კონსტრუქციული ელემენტების დეტალური შესწავლა ვერ მოხერხდა. მიწისქვეშა პარკინგის სართულზე მზიდი კონსტრუქციების ბეტონის ზედაპირები გაშიშვლებულია, რამაც მოგვცა საშუალება რომ დეტალურად დაგვეთლიერებინა და შეგვესწავლა მათი ზედაპირები და შეერთების კვანძები. შენობის კონსტრუქციული სქემა ხისტკვანძიანი კარკასული სისტემაა, რომლის სახურავის

დონეზე მოწყობილია ლითონის კონსტრუქციები. შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე შესრულებულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის „Lira-SAPR 2021R3“ პროგრამული კომპლექსის (შესყიდვების სალიცენზიო ნომერი # #1/8656) გამოყენებით. საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელი) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები, მათი შეხამებები და ისინი შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, რომლის ანალიზით მიღებული შედეგები შემდეგია: შენობის საკუთარი რხევის პერიოდები _ Iფ=0,7637 წმ; IIფ=0,7565 წმ და IIIფ=0,7557 წმ. შენობის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 82 ფორმა. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები X მიმართულებით _ 4,49 მმ-ია, ხოლო Y მიმართულებით კი _ 7,46 მმ. ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვითაა შერჩეული ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება: ჩვენ ინსტრუმენტულად ვერ შევამოწმეთ საძირკვლის კონსტრუქციები და მის ქვემოთ განლაგებული შრეები, ამიტომ დავეყრდენით კომპიუტერული გაანგარიშებასა და კონსტრუქციულ პროექტში მოცემულ მონაცემებს მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილისა და საძირკვლის კოჭების შესახებ: შენობა გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის 500 მმ. სისქის საძირკვლის ფილით, რომლის ქვეშაც მოწყობილია 100 მმ სისქის ბეტონის მომზადება და 500 მმ სისქის ხელოვნური ფუძე, ფენებად დატკეპნილი მდინარის ხვინჭა. შენობის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებად გამოყენებულია: მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკედლიანი კვადრატული ფორმის სვეტები განივი კვეთით 500X500 მმ და 220 მმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ურიგელო გადახურვის ფილა კაპიტელებით, რომლებიც კარკასის ელემენტებთან ერთად ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და უზრუნველყოფენ შენობის კარკასის სივრცით სიხისტეს. შენობის კონტურზე მოწყობილი მონოლითური რკინაბეტონის რიგელების განივი კვეთი 400X500(h) და 400X1690(h) მმ-ია, მონოლითური რკინაბეტონის სარტყელების განივი კვეთი კი 400X300(h) მმ. მათ გარდა კარკასის ელემენტებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის სარდაფის კედლები სისქით 300 და 250 მმ. სართულებს შორის საკომუნიკაციო კიბის მარშებისა და ბაქნების ფილების სისქე 180 მმ-ია. მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი. კონსტრუქციების არმირება განხორციელებულია A500c კლასის არმატურით და A240c კლასის გლინულათი. შენობის სახურავი შესრულებულია ლითონის ელემენტებით: სანივნივე კოჭებად გამოყენებულია IPE300, IPE200 და UPN240 ნიშანდების ლითონის ორტესებრი ნაგლინი პროფილები, ხოლო გრძივებად

გამოყენებულია 200X100X4 მმ განივი კვეთის მქონე ლითონის მილკვადრატის ნაგლინი პროფილი.

შენობის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის არცერთ, ვიზუალურად ხელმისაწვდომ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე არ შეინიშნება რაიმე სახის დაზიანება თუ დეფორმაციები. შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მიღებული შედეგების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობა აშენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული კორექტირებული არქიტექტურული ნახაზების (აზომვითი პროექტი) შესაბამისად. მაგრამ „Lira-SAPR 2021R3" პროგრამული კომპლექსის გამოყენებით ჩატარებულმა ანგარიშის შედეგებმა გვიჩვენა, რომ, 0,000 ნიშნულზე (დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული ნახაზის მიხედვით) „ა" ღერძზე, „5" და „8" ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭი (იხილე დამკვეთის მიერ მოწოდებული _ „სავაჭრო ცენტრი. ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. დამკვეთი შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია". კონსტრუქციული ნაწილი"-ის კ-36 ფურცელზე დამუშავებული „რიგელი-2") საჭიროებს გაძლიერებას, რომლის დეფორმაციის (ჩაღუნვის) სიდიდე 37,6 მმ-ია.

დამკვეთმა, დაფიქსირებული ხარვეზის საპასუხოდ წარმოადგინა:

_ შპს „თეიჯსტუდიო"-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „ქ. თბილისი. მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობა". კონსტრუქციურული ნახაზები PDF-ფორმატებში. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე, შემსრულებელი გ. შალიტაური. 2025 წ.

_ „ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #28. ს/კ 01.72.14.035.665. სავაჭრო ცენტრის შენობის ანგარიში სტატიკურ და დინამიკურ დატვირთვებზე". თბილისი 2025 წ. ანგარიშის რაპორტი, შემსრულებელი გ. შალიტაური.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა „ა" ღერძზე, „5" და „8" ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭის, „რიგელი-2"-ის გაძლიერება ლითონის განმბჯენებით. შენობის სივრცითი მოდელის ხელახალი ანგარიშის შედეგად მიღებული პარამეტრები შემდეგია: შენობის საკუთარი რხევის პერიოდები _ Iფ=0,6836 წმ; IIფ=0,6831 წმ და IIIფ=0,6825 წმ. შენობის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 92 ფორმა. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები X მიმართულებით _ 16,2 მმ-ია, ხოლო Y მიმართულებით კი _ 10,6 მმ. შეიცვალა მხოლოდ 0,000 ნიშნულზე, „ა" ღერძზე, „5" და „8" ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭის დეფორმაციის (ჩაღუნვის) სიდიდე, რომლიც შემცირდა და ნაცვლად 37,6 მმ-ისა გახდა 18,7 მმ.

ზემოაღნიშნული კოჭის გაძლიერების სამუშაოების ხარისხის შემოწმების მიზნით, შპს „პონტიკა“-ს დაკვეთით, აკადემიური დოქტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ირაკლი თაყაძის მიერ შესრულებულ იქნა: „ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში, სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლითონ-კონსტრუქციების შენადუღი ნაკერების შემოწმების ტექნიკური ანგარიში NDT-16-02-25“. შედეგები დამაკმაყოფილებელია (შემოწმების შედეგები იხილეთ ზემოხსენებულ ტექნიკურ ანგარიშში, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით).

შენობის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობის და ლითონის განმბჯენების მოწყობის დეტალები იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ ფოტომასალაზე.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

კვლევის შედეგების ანალიზი და დასკვნა

ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა #28-ში, შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი # 01.72.14.035.665] მშენებლობადასრულებული სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევისდროინდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მის არცერთ, ვიზუალურად ხელმისაწვდომ მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებზე არ შეინიშნება რაიმე სახის დაზიანება თუ დეფორმაციები.

მთლანად შენობის და მისი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მიღებული შედეგების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ,, რომ შენობა აშენებულია დამკვეთის მიერ მოწოდებული კორექტირებული არქიტექტურული ნახაზების (აზომვითი პროექტი) შესაბამისად.

კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის „Lira-SAPR 2021R3“ (შესყიდვების სალიცენზიო ნომერი # #1/8656) გამოყენებით შესრულებული ანგარიშით მიღებული ძალვებით შერჩეული (და რეკომენდაციების შემდეგ გაძლიერებული) კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირება იძლევა შენობისა და მისი კონსტრუქციული ელემენტების უსაფრთხო ექსპლუატაციის გარანტიას. ანგარიშის შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობის სეისმომედეგობა უზრუნველყოფილია.

ინსპექტორი: /რამაზ აფხაძე/

ტექნიკური მენეჯერი: /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/

Pontica LLC


2025/1/24 10:18


2025/1/24 10:15





შენობის ფასადები


2025/1/24 10:08


2025/1/24 10:02





საკომუნიკაციო კიბეები



სამგზავრო ლიფტისა და საკომუნიკაციო კიბის კარები







მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ელემენტები





გასაძლიერებელი „რიგელი-2“



სახურავის ლითონის კოჭი



ავტოფარეხის პანდუსი



მომსახურების ბაქნის პანდუსი




2025/1/24 10:12


FRESH
PRODUCE
2025/1/24 10:07


2025/1/24 10:08


2025/1/24 10:07


2025/1/24 10:05


2025/1/24 10:02



შენობის ინტერიერი




2025/1/24 10:04


2025/1/24 10:04





სახურავი













ზემოაღნიშნული კოჭის გაძლიერების სამუშაოების ხარისხის შემოწმების მიზნით, შპს „პონტიკა“-ს დაკვეთით, აკადემიური დოქტორის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატ ირაკლი თაყაძის მიერ შესრულებულ იქნა: „ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა №28-ში, სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლითონ-კონსტრუქციების შენადუღი ნაკერების შემოწმების ტექნიკური ანგარიში თ-16-02-25“ (შემოწმების შედეგები იხილეთ ზემოხსენებულ ტექნიკურ ანგარიშში, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით).

„ა“ ღერძზე, „5“ და „8“ ღერძებს შორის არსებული გადახურვის ფილის კოჭის, „რიგელი-2“-ის გაძლიერება ლითონის განმბჯენებით საბოლოოდ შემდეგნაირად გამოიყურება:


2025/2/20 14:34


2025/2/20 14:34

ტექნიკური ანგარიში №	NDT-16-02-25	ქ. თბილისში მირიან მეფის ქ. №28-ში სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლით. კონ. შენადუღი ნაკერების შემოწმების შესახებ.			
GEO TD-NDT	საქართველოს ტექნიკური დიაგნოსტიკის და ურღვევი კონტროლის სააზოგადოება	"შემსრულებელი" ირაკლი თაყაძე	irakli.takadze@gmail.com მობ. 599 934 651	გვერდი	1
				შემოწმდა	14.02.25-15.02.25
				ტექ ანგარიში მომზადდა	16.02.25

ქ. თბილისში მირიან მეფის ქუჩა №28-ში სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლითონ-კონსტრუქციების შენადუღი ნაკერების შემოწმების

ტექნიკური ანგარიში NDT-16-02-25



"შემსრულებელი"

აკადემიური დოქტორი, ტექ. მეც. კან.
ტექნიკური დიაგნოსტიკის მე-3 დონის
სპეციალისტი EN ISO 9712-2012,
15740.MT.3/24. 15741.UT.3/24;
15742.RT.3/24; 15743.VT.3/24.
110. PT.18/20; 110. LT.18/20

ი. თაყაძე

16.02.2025

თბილისი 2025

ტექნიკური ანგარიში №	NDT-16-02-25	ქ. თბილისში მირიან მეფის ქ. №28-ში სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლით. კონ. შენადული ნაკერების შემოწმების შესახებ.			
GEO TD-NDT	საქართველოს ტექნიკური დიაგნოსტიკის და ურღვევი კონტროლის საზოგადოება	"შემსრულებელი" ირაკლი თაყაძე	irakli.takadze@gmail.com მობ. 599 934 651	გვერდი	2
				შემოწმდა	14.02.25-15.02.25
				ტექ ანგარიში მომზადდა	16.02.25

სარჩევი

1. შესავალი ---------- 3

2. შემოწმებული ლითონ-კონსტრუქცია და შემოწმების მიზანი---------- 4

3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტაცია ----------6

4. გამოყენებული აპარატურა ---------- 6

5. შემოწმების მეთოდები და მოცულობა---------- 7

6. შემოწმების შედეგები და დასკვნები---------- 8

ტექნიკური ანგარიში №	NDT-16-02-25	ქ. თბილისში მირიან მეფის ქ. №28-ში სავაჭრო ცენტრი ფრესკოს შენობაში რ/ბ რიგელის გაძლიერების ლით. კონ. შენადუღი ნაკერების შემოწმების შესახებ.			
GEO TD-NDT	საქართველოს ტექნიკური დიაგნოსტიკის და ურღვევი კონტროლის საზოგადოება	"შემსრულებელი" ირაკლი თაყაძე	irakli.takadze@gmail.com მობ. 599 934 651	გვერდი	3
				შემოწმდა	14.02.25-15.02.25
				ტექ ანგარიში მომზადდა	16.02.25

1. შესავალი.		
1.1. სამუშაოს შესრულების საფუძველი	შპს "პონტიკა"-სთან ს/კ 402073448 2025 წლის 13 თებერვალს ხელმოწერილი ხელშეკრულება.	
1.2. სამუშაოს ჩატარების ვადები	**საველე** ობიექტზე ინსტრუმენტალურ-გაზომვითი სამუშაოები	14.02.25-15,02.25
	კამერალური მიღებული შედეგების დამუშავება და ტექნიკური ანგარიშის შედგენა	16.02.25
1.3. შემსრულებელი	**ირაკლი თაყაძე** ტექნიკური დიაგნოსტიკის მე-3 დონის სპეციალისტი. აკადემიური დოქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს სამხედრო-სამრეწველო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი.	
1.4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები	EN ISO 9712-2012- ურღვევ კონტროლში სერტიფიცირების საერთაშორისო სტანდარტი: • 15740.MT.3/24 - მე-3 დონე. (მაგნიტური); • 15741.UT.3/24 - მე-3 დონე. (ულტრაბგერითი); • 15742.RT.3/24 - მე-3 დონე. (რადიოგრაფიული); • 15743.VT.3/24 - მე-3 დონე. (ვიზუალური); • 110. PT.18/20 - მე-3 დონე. (კაპილარული); • 110. LT.18/20 - მე-3 დონე. (გაჟონვის); TH № 047712 -ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი. №30 - საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრის დიპლომი	

